1 თებერვალი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის IV კვირა [IV], მწ

(19.I) წმ. ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, VIს

3მეფ 2,1–4.10–12; საგ.: 1ნეშტ 29,10–12; მარ 6,7–13

ეკვიდნენ და დაიწყეს სინანულის ქადაგება მარ 6,12

ეს ძლიერი მოწვევაა ყველასთვის. მოქცევა? მოწაფეებმა ყველას უნდა აუწყონ ეს. ვისაც უკვალოდ ცხოვრება არ სურს, შეიცვლის გზას, მზერას მიაპყრობს იესოს და ეზიარება მის სინათლეს და მის სიბრძნეს. ვინც ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარ აზრებს ეყრდნობა და იესოს განუდგება, თავისსავე ეგოიზმში დარჩება და ირგვლივ მწუხარებას განავრცობს.

2 თებერვალი

პარასკევი
2024

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა), დ, [ს], თ

მალ 3,1-4; ან ებრ 2,14-18; ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ-მონაზონთა დღე

მარიამმა და იოსებმა მოიყვანეს რჯული იესო
იერუსალიმში უფლის წინაშე წარსადგენად ლკ 2,22

იესო იმ ტაძარში შედის, რომელსაც ჰეროდე აშენებდა. ჯერაც ყრმაა, მშობლებს ხელში აყვანილი მიჰყავთ, მაგრამ ის უკვე თავისი ერის და ყოველი ხალხის გადამრჩენელია. ის ღმერთის ჭეშმარიტი ტაძარია! სიმეონი და ანა ყველას ახარებენ: ვისაც გადარჩენა სურს, მხოლოდ ჰეროდეს მიერ აღდგენილ ტაძარში შესვლა როდი კმარა, არამედ ამ ყრმას უნდა შეეგებონ.

შაბათი
2024

წმ. ბლაზი, სებასტეს ეპისკოპოსი, წამებული +≈316ს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ჰამბურგის ეპისკოპოსი +865.

ᲛᲔᲝᲤ 3,4-13; ფს 118; მარ 6,30-34

იყვნენ უმწყემსო ცხვრებივით მარ 6,34

უმწყემსოდ დარჩენილ ცხვრებს ვერ გაუგიათ
რა ქნან, საით წავიდნენ და როგორ დაიცვან
თავი. ხალხიც ასე იყო: არავინ შეაგონებდა
მათ ღმერთზე მორჩილებას, არავის უამბნია
მათთვის ღმერთის სიყვარულზე და იმა-
ზე, რომ თავადაც შეეძლოთ გამოეცადათ
ღვთისნიერი სიყვარული. ამიტომაც იზიდავს
მათ იესოს თანალმობა.

4 თებერვალი

კვირა
2024

რიგითი V კვირადღე, «ბ», [I], მწ

იობ 7,1-4.6-7; ფს 146; 1კორ 9,16-19.22-23; მარ 1,29-39

უთხრეს მას: 'ყველა შენ ეძებს'. მარ 1,37

რატომ ეძებენ მას? იესო ამას გუმანით ხვდება. ეძებენ, რამეთუ იციან, რომ მას უყვარს ისინი და უფრო მეტი გაცხოველებით ელტვიან მის სიყვარულს. იესოს გულით სწადია, რომ მათაც გადასცენ ეს სიყვარული სხვებს, იცხოვრონ ახლებურად, ღმრთაებრივი ცხოვრებით.

5 თებერვალი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის V კვირა [I]

წმ. აგათა, ქალწული და წამებული, +251 კატანიაში (იტალია), (მ), წ

3მეფ 8,1-7.9-13; ფს 131; მარ 6,53-56

ხალხმა მყისვე იცნო იესო

მარ 6,54

ადვილად ამოიცნობ მას, ვისაც უყვარს. ამიტომაცაა, რომ ყველა ცნობს იესოს, ცნობენ და აღიარებენ იმად, ვინც მათ შვებას მოჰგვრის, განკურნავს, იმედს ჩაუსახავს, დაიხსნის.

6 თებერვალი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის V კვირა [I]

წმმ. პავლე მიკი და მეგობარნი, წამებულნი, +1597 ნაგასაკიში (იაპონია), (მ), წ

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 83; მარ 7,1-13

ამგვარად აუქმებთ ღვთის სიტყვას მარ 7,13

იესო არ ერიდება გაკიცხვას. ყოველი მისი შეგონება გვეუბნება, თუ როგორ უნდა იცხოვრო და როგორ არ უნდა მოიქცე. ადამიანს შეუძლია იხუმროს, თუმცა უადგილოა ღმერთთან ხუმრობა. თავს ვერ მოაჩვენებ, თითქოს მისი სიტყვით ცხოვრობ, არადა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობ: ღმერთი მყისიერად ამჩნევს ამას.

7 თებერვალი

ოთხშაბათი:
2024

3მეფ 10,1-10; ფს 36; მარ 7,14-23

კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი შენი, შენ რომ მოგიწონა 1მეფ 10,9

შებას დედოფალი აქებს სოლომონს მისი ლამაზი სასახლისა და გონივრული მეფობის გამო. იგი წარმართია, მაგრამ კარგად უწყის, რომ სიბრძნე, წესრიგი და სილამაზე ღმრთისაგან მოდის; ამიტომაც, ადამიანური აღტაცება ვერ იქნება სრული და ჭეშმარიტი, თუკი ღმერთს არ განადიდებს.

8 თებერვალი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის V კვირა [I], მწ

(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI–XIIსს;
წმ. იერონიმე ემილიანი, +1537 სომასკაში (იტალია);
წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწული, სუდანელი მონა, შემ-
დგომ მონაზონი +1947 სკიოში (იტალია).

3მეფ 11,4–13; ფს 105; მარ 7,24–30

მივიდა და დაემხო მის ფერხთით მარ 7,25

ამ დედაკაცის პატარა ქალიშვილს „უწმი-
ნდური სული დაუფლებია“. იტანჯებოდა
ქალიშვილი, დედა კი უსაშველოდ განიცდიდა
მის მდგომარეობას. ვის შეუძლია ამ ტანჯვაში
ჩარევა და მისი განკურნება? ამ დედაკაცის
ერთადერთი იმედი იესოა: მან ღმერთთან
სიახლოვე დაინახა მასში!

9 თებერვალი

პარასკევი
2024

3მეფ 11,29-32; 12,19; ფს 80; მარ 7,31-37

დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)

ჟოველიგეს სასიკეთოდ აკეთებს

მარ 7,37

ყრუ-მუნჯს უკვე შეუძლია ხმის მოსმენა და საკუთარი აზრის გამოხატვა. შეუძლია უგალობოს კიდეც ღმერთს და გაიმეოროს მისი სიტყვები. იგი უკვე სრული ადამიანია, არადა, აქამდე თავს შეჩვენებულად თვლიდა: რამეთუ არ ესმოდა ღმერთის სიტყვა და ვერც სხვებს გადასცემდა მას.

10 თებერვალი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის V კვირა [I]

წმ. სქოლასტიკა, ქალწული, მონაზონი, წმ. ბენედიქტეს და +≈547 მონტეკასინოში (იტალია), (მ), თ

3მეფ 12,26-32;13,33-34; ფს 105; მარ 8,1-10

აკურთხა და უბრძანა ისინიც რამოერიყებინათ მარ 8,7

ლიფსიტებიც კი კურთხეულნი არიან. ყოვლისმომცვლელია ღვთის სიყვარული, რასაც იესო ყველას უნაწილებს. ის მხოლოდ პურს როდი აძლევს!

გმადლობ, უფალო იესო: არაფერი მოაკლდება შენს მსმენელს და გამგონეს.

რიგითი VI კვირადღე, «ბ», [II], მწ

[(29.I) წმ. ამოტ დიდი კურაპალატი, წამებული, +826; ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება) 1858]

ლევ 13,1-2.44-46; ფს 31; 1კორ 10,31 – 11,1; მარ 1,40-45

სნეულთა დღე

თუ გსურს, ძალიან რემი განწმენდა Mar 1,40

კეთროვანი იესოს ევედრება. ვისთვის უნდა ეთხოვა განკურნება და განწმენდა? ყველანი, მათ შორის ამა სოფლის ძლიერნი, ერიდებოდნენ კეთროვნებს და მათთან შეხვედრას, არ სურთ მათი დანახვა. მხოლოდ იესოა განსხვავებული, მხოლოდ მას გააჩნია სიყვარული, რომელიც განწმენდს და იხსნის ადამიანს.

12 თებერვალი

ორშაბათი
2024

იაკ 1,1-11; ფს 118; მარ 8,11-13

მოთმინებას ჰქონდეს სრულყოფილი საქმე

იაკ 1,4

წმინდა იაკობი თავის წერილს უჩვეულოდ იწყებს: "ყველაფერი სიხარულად შერაცხეთ, ჩემო ძმანო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით". განსაცდელი მოთმინებაში გვაწ-რთობს, ხოლო მოთმინებით ღმერთის ძეს ვემსგავსებით, ვინც სიყვარულის გამო ივნო და იტანჯა, რათა ხორცი შეესხა ღმერთთან თავის მსგავსებისათვის.

13 თებერვალი

სამშაბათი
2024

იაკ 1,12-18; ფს 93; მარ 8,14-21

ვფიროაცა არ ქესმით? მარ 8,21

იესოს მოწაფეებიც ისევე იქცევიან, როგორც მე. მესმის მატერიალური საგნები, მაგრამ მიჭირს მათში სულიერი ნიშნების დანახვა. იესოს დაუხმარებლად ამას ვერ შევძლებ. გმადლობ, იესო, ყველა შენი კითხვისთვის, თუნდაც ზოგჯერ მათში საყვედური გაისმოდეს.

14 თებერვალი

ოთხშაბათი: 2024

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV], ი

[წმ. კირილე, ბერი +869 რომში და ძმა მისი წმ. მეთოდი, მორავიის ეპისკოპოსი +895 ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ]

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20-6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

შენს მარცხენას ნუ ეცოდინება,
რას აკეთებს მარჯვენა მთ 6,3

ხშირად გვიჩნდება იმის სურვილი, რომ ყველაფერი ვიცოდეთ. კიდევ უფრო ხშირად, რომ სხვებმა არაფერი იცოდნენ ჩვენს შესახებ. იესო გვარწმუნებს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს, ხედავს დაფარულში, მაგრამ უხმოდ არის. პატივს გვცემს და ესათნოება, თუკი მდაბალ გულს ვაჩვენებთ მას, მხოლოდ მას, რათა ჩვენში ამპარტავნება არ გაღვივდეს.

15 თებერვალი

ხუთშაბათი
2024

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

აიღოს თავისი ჯვარი და მოჰყვეს ლკ 9,23

ახლახანს შევუდექით დიდმარხვის გზას. იესოს მოსწონს ჩვენი თანხლება, გვიღებს იმ გზაზე, რასაც ახლა გადის. ვერაფერს ვასწავლით მას, – და ეს წყალობაა –, რამეთუ მხოლოდ მისი თვალები ხედავენ იმ შუქს, რომელიც გზას უნათებს.

16 თებერვალი

პარასკევი 2024

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

ხმა აღიმაღლე და ეამოუცხადე რემს ერს
მისი დანაშაული ეს 58,1

წინასწარმეტყველი ვალდებულია უსაყვედუროს ხალხს, რამეთუ მოსმენისა და მორჩილების გარეშე ცდილობენ ღმერთის კეთილგანწყობის მოპოვებას.
ვინც ღმერთთან ეთვალთმაქცება, შესმენილი ვერ იქნება. მოდით, მთელი სერიოზულობით ვემზადოთ იესოს ხმის მოსასმენად.

17 თებერვალი

შაბათი 2024

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

(4.II) წმ. ღირსი ევაგრე მღვიმელი VIს, მონაზონი;
ნ. ქ. მარიამის მსახურთა ორდენის 7 დამფუძნებელნი

ეს 58,9–14; ფს 85; ლკ 5,27–32

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

მაშინ გაიხარებ შენ უფალში ეს 58,14

მანუგეშებელი და ლამაზია უფლის აღთქმები. ვის მიმართავს იგი? მათ, ვინც მისი მორჩილია, ვისაც უპოვარი და დამაშვრალი უყვარს, ვინც გულუხვი და გულისხმიერია პატარების მიმართ. ისინი ასრულებენ ღმერთის საქმეს, სწორედ ამ გზით გაიცნობს მას ყოველი კაცი, როგორც სიყვარულისა და მშვიდობის ღმერთს.

18 თებერვალი

კვირა

2024

დიდმარხვის I კვირადღე, «ბ», [I], ი

დაბ 9,8-15; ფს 24; 1პეტ 3,18-22; მარ 1,12-15

მოექეცით და დაიჯერეთ სახარება მარ 1,15

იესო განაგრძობს იოანე ნათლისმცემლის ქადაგებას. იოანე მონანიებაში იხმობდა ხალხს და იესოც შინაგან ცვლილებას ითხოვს. თითქოს ამბობდა: „ნუ ხარ დარდში, მე უკვე აქ ვარ. ხარობდე, რამეთუ ღმერთს უყვარხარ და თავის სიყვარულს აფრქვევს მთელს წუთისოფელზე“.

19 თებერვალი

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I] ი

ორშაბათი
2024

(ნ.II) წმ. ღირსი არსენ იყალთოელი +1127, მონაზონი

ლევ 19,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

არ იძიო შური ლევ 19,18

მოსეს ღმერთი თავის მსახურს მთელ რიგ შეგონებების აძლევს. თუკი მათ დაიცავს, ხალხი ბედნიერად და მშვიდად იცხოვრებს, ეყოფა ძალა მტერთან საბრძოლველად, უსაფრთხოდ ივლის დედამიწაზე. ერთ-ერთი შეგონება ასეთია: შურს ნუ იძიებ, ანუ ბოროტებას არ აჰყვე, არ გააორმაგო ის და მუდამ ღმერთის სიკეთეს ჩაეჭიდე.

20 თებერვალი

სამშაბათი 2024

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

არ მიეკვატოდეთ ეანსაცდელის კართან მთ 6,13

იესო ასწავლის ლოცვას. მოწაფეებმა იციან, რომ ცდუნებები გამუდმებით ითრევენ ადამიანს ბოროტებაში და იციან, რომ აკლიათ სიბრძნე ამ ცდუნებების ამოსაცნობად და არც ძალა ჰყოფნით მათ დასაძლევად. ისინი მამას სთხოვენ ერთგულებისთვის აუცილებელ შეწევნას.

21 თებერვალი

ოთხშაბათი:
2024

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I] ი

წმ. პეტრე დამიანი, ოსტიის კარდინალ-ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +1072

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

ირწმენ ღმერთი და მარხვა ეამო-აცხადეს

იონ 3,5

ნინევეს წარმართები უსმენენ ღვთის
წინასწარმეტყველს. ეს იონაა,
წინასწარმეტყველი, რაღა თქმა უნდა, არც
მთლად სამაგალითო თავისი ურჩობისა
და ულმობლობის გამო, თუმცა ესმით, რომ
მონანიებისკენ მათ თავად ღმერთი იხმობს.
უსმენენ მას და გადარჩებიან!

22 თებერვალი

ხუთშაბათი
2024

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა მთ 16,15

ჩვენ მნიშვნელოვან საიდუმლოს აღვნიშნავთ: იესომ პეტრეს უბოძა მთელი ეკლესიის დამოძღვრის ხელმწიფება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის ხელებს ჩაბარდა ღმერთის ხელმწიფება! იგი გამორჩეულია იესოში თავისი ურყევი და მტკიცე რწმენით.

23 თებერვალი

პარასკევი
2024

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I]

წმ. პოლიკარპე, სმირნის ეპისკოპოსი და წამებული, +155 (მ), წ.
(10.II) წმ. ღირსი იოანე ჭიმჭიმელი VIს, მთარგმნელი

ეზეკ 18,21–28; ფს 129; მთ 5,20–26

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

ის იცოცხლებს, არ მოკვდება ეზეკ 18,21

რწმენად მოქცეული ადამიანი, ეგოიზმის გზას მიატოვებს და ზეციერი მამის სიტყვებს შეისმენს. რწმენად მოქცეული, მისგან მიიღებს სიცოცხლის მადლს.

24 თებერვალი

შაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I] ი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

შენ იქნები უფლის კერძო ერი

რჯლ 26,19

დღესაც მოგვიწოდებს უფალი, რომ ვუსმინოთ მას, გავხდეთ მისი მორჩილნი და მისი სიბრძნით ვიცხოვროთ. ეს ერთადერთი ჭეშმარიტი, წმინდა და ლამაზი გზაა, ეს სიცოცხლის გზაა.

დიდმარხვის II კვირადღე, «ბ», [II], ი

[(12.II) წმ. ღირსი პროხორე, იერუსალემის კვრის მონასტრის აშშენებელი, XIს]

დაბ 22,1-2.9.10-13.15-18; ფს 115; რომ 8,31-34; მარ 9,2-10

ვეღარავინ დაინახეს,
მათთან მხოლოდ იესოს ღარდა მარ 9,8

დიდმარხვის ამ მეორე კვირას ჩვენი მზერა იესოზე უნდა შეჩერდეს. ის სხივმოფენილია და მისთვის გაისმის ღმერთის სიტყვები. მოსემ და ელიამ აუწყეს იგი და აწ, იხილეს ის. მოწაფეებს თვალს ჭრის მისი ბრწყინვალება, ხოლო მისი ხმა ყველა წინასწარმეტყველის ხმაზე ძლიერია.

26 თებერვალი

ორშაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II] ი

დან 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

იყავით გულმოწყალენი ლკ 6,36

იესო კვლავ მამაზე გვესაუბრება და შეგვა-
გონებს, რომ ჩვენი ნამდვილი ცხოვრება და
ბედნიერება, რასაც ვესწრაფვით, მასთან
მსგავსებაშია. თუკი მის გულმოწყალე სიყვა-
რულს ვერ შევიგრძნობთ, ვერც მის შვილე-
ბად აღვიქვამთ თავს.

27 თებერვალი

სამშაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II] ი

წმ. გრიგოლ ნარეკელი, აბატი და ეკლესიის მოძღვარი + 1005

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

თუ ურჩობას ვასწავთ, მახვილით მოისპობით ეს 1,20

წინასწარმეტყველები გამუდმებით იხმობენ ხალხს, რომ უსმინონ ღმერთს, ემსგავსონ სიყვარულში, დაძლიონ საკუთარი ეგოიზმი. ვინც ასე ცხოვრობს, გულში მშვიდობიანი მომავლის იმედი ჩაესახება, ხოლო ვინც მას განუდგება, იმედი მოაკლდება.

28 თებერვალი

ოთხშაბათი:
2024:

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

კაცის ძე არ მოსულა, რათა მას ემსახურონ მთ 20,28

იესო თავის მოწაფეებს ეცხადება. ისინი ვერ იღებენ მას, ესოდენ განსხვავებულს მათგან, ჩვენგან...! სინამდვილეში, მან კი არ უნდა იცვალოს ფორმა, არამედ ჩვენ უნდა შევიცვალოთ, მუდამ ვინანიებდეთ და მისკენ მივმართავდეთ ცხოვრების გეზს. გულით ვუმზიროთ მას: ღმერთის ნებით, იგი ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობს, რათა ამ გზით ვყოფილიყავით ჩვენ მისი ღვთიური ცხოვრების მოზიარენი.

29 თებერვალი

ხუთშაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II] ი

დაბ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

წყეულია ადამიანი, ვინცა ადამიანში ამყარებს იმედს იერ 17,5

წინასწარმეტყველთა ენა ყოველთვის საამო და ტკბილმოუბარი როდია. ხანდახან მკაცრ სიტყვებსაც იყენებენ, რადგან იციან, რომ მეამბოხე შვილებს როზგი სჭირდებათ. ღმერთის სიყვარულს ძლიერი და მძიმე ფორმების გამოყენებაც შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაგვეძინება და მოტყუებულნი დავრჩებით.